საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №743
2021 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.07.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010130000.22.027.016158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №1 დანართის („საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები“) მე-7 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს:

ა.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{1}“ ქვეპუნქტი:

„პ^{1}) აღნიშვნას – „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“, „შშმ პირი. მნიშვნელოვნად გამოხატული“ ან „შშმ პირი. ზომიერად გამოხატული“ – „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გასაცემი მოწმობის შემთხვევაში, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი არ აქვს აღნიშნული სტატუსი;“;

ა.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) უკონტაქტო მიკროსქემაზე გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ ინფორმაციას – გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გასაცემი მოწმობის შემთხვევაში, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი არ აქვს აღნიშნული სტატუსი.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „პ“-„რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დატანილ იქნეს უკვე გაცემულ მოწმობაზეც.“.

2. №2 დანართის („საქართველოში მცხოვრები უცხოელის მუდმივი ბინადრობის ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები“) მე-7 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს:

ა.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ[1]“ ქვეპუნქტი:

„პ[1]) აღნიშვნას - „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“, „შშმ პირი. მნიშვნელოვნად გამოხატული“ ან „შშმ პირი. ზომიერად გამოხატული“ – „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გასაცემი მოწმობის შემთხვევაში, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი არ აქვს აღნიშნული სტატუსი;“;

ა.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) უკონტაქტო მიკროსქემაზე გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ ინფორმაციას – გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გასაცემი მოწმობის შემთხვევაში, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი არ აქვს აღნიშნული სტატუსი.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „პ“-„რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დატანილ იქნეს უკვე გაცემულ მოწმობაზეც.“.

3. №3 დანართის („საქართველოში მცხოვრები უცხოელის დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები“) მე-7 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს:

ა.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ[1]“ ქვეპუნქტი:

„პ[1]) აღნიშვნას - „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“, „შშმ პირი. მნიშვნელოვნად გამოხატული“ ან „შშმ პირი. ზომიერად გამოხატული“ – „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გასაცემი მოწმობის შემთხვევაში, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი არ აქვს აღნიშნული სტატუსი;“;

ა.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) უკონტაქტო მიკროსქემაზე გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ ინფორმაციას – გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გასაცემი მოწმობის შემთხვევაში, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი არ აქვს აღნიშნული სტატუსი.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „პ“-„რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დატანილ იქნეს უკვე გაცემულ მოწმობაზეც.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**